140
1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიონერი

№3

1 9 3 8

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პიონერი

წელიწადი მეცამეტე

საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და
საქ. განსახკომის ერთთვიური ჟურნალი.

მ ა რ ტ ი 1938 წ. № 3

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომც.—„კომუნისტი“. რედაქციის მისამართი თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34, ტელ.—3—02—61.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

გვ.

1. **გიორგი ქუჩიშვილი,**—პირველი მერცხალი (ლექსი) 1
2. **როდიონ ქორქია,**—მარია რიშარი (მოთხრობა) 2
3. **ი. გრიშაშვილი,** – ონავარი (ლექსი) 3
4. **ნიკოლოზ ნაგრელი,**— პოლუსის საიდუმლოებანი გამომჟღავნებულია (ნარკვევი) 4
5. **სანდრო ეულენტი,**—ქალიშვილის სიმღერა (ლექსი) 6
6. პიონერთა შემოქმედება 8
7. ა. პ. ჩეხოვი (წერილი) 10
8. **ანტონ ჩეხოვი,**—უნტერი პრიშიბეევი (მოთხრობა, თარგმანი შ. თაბუკაშვილისა) 11
9. **გაიოზ ჩანტლაძე,** —ორთქლის გემის გამომგონებელი (ნარკვევი) . 14
10. ჭ ა დ რ ა კ ი 15
11. **ვლ. კახიანი,** — ლამა 16
12. ფრიადოსანი პიონერები (ფოტოსურათი) . . . . გარეკანის მე-3 გვ.
13. პასუხები ჟურნ. „პიონერის“ № 2-ში მოთავსებულ გასართობებზე. გარეკანის მე-3 გვ.
14. გასართობი, ... გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვარ ი. ქოქიაშვილის და კ. თენეიშვილის მიერ

პასუხისმგებელი რედაქტორი—ელ. აგლაძე   პასუხისმგებელი მდივანი—ნ. სირბილაძე

მთავლიტი 357   შეკვ. № 242   ტირაჟი 12.800   სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68

გიორგი ქუჩიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი მერცხალი

მთის კალთებზე თოვლი გალხვა,
აბიბინდა მიწის გული,
და მერცხალმაც გადმოგვძახა
„აჰა, მოვედ კრიმანჭულით!

მოვედ, რომ თქვენ გეტრფიალოთ
და გახაროთ გაზაფხული,
ხან ქალაქში ვიხრიალოთ,
ხან დავკოცნოთ სოფლად ხნული!

მოვედ, მსურს, რომ თქვენც გადმოგცეთ:
სად ვიზამთრე, სად რა ვნახე;
ვიცი, ყველას გაგაოცებთ,
რა ქარცეცხლიც გადმოვლახე.

ეჰ, კარგებო! სხვაგან ისევ
სუფევს ჩაგვრა, სივაგლახე;
ვერსად შევხვდი მოკისკისე
თქვენისთანა ლამაზ სახეს.

უცხოეთში უცხოდ ვთვლიდი
ჩემს თავსაც და ჩემებრ სხვებსაც;
მე რომ ცხარე ცრემლებს ვდვრიდი,
ცრემლს ვამჩნევდი ჩვილ ბავშვებსაც.

გაღმა იყო თუ გამოღმა,—
იყო ომი, იყო ყლეტა;
მაწვებოდა ყელში ბოღმა,
გულს მიკლავდა გვამთა ჭვრეტა.

უსუსურთაც არ ინდობდნენ
მხეცთა-მხეცი ფაშისტები;
თითქოს კიდეც თავს ირთობდნენ
დახოცილთა სისხლის ტბებით.

თქვენ კი, ჩემო მალხაზებო,
ცხოვრება გაქვთ ტკბილზე-ტკბილი
და ბელადი სანაქებო
გზრდით და გმოსავთ სხივმოსილი.

ო, რა მიყვარს თქვენი მხარე,
ო, რა მიყვარს საქართველო;
ვინც გიგლით და ვინც გახარებთ,
დიდხანს, დიდხანს გიდღეგრძელოთ!“

3380

როლიონ ქორქია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარია რიშარი

(ეპიზოდი პარიზის კომუნის ბრძოლიდან)

I.

კომუნარი ქალები ყოველდღე დადიოდნენ მოწინავე პოზიციაზე და კომუნარებისათვის საჭმელი მიჰქონდათ. მათ არ აშინებდათ არც ზარბაზნების გრიალი, არც ტყვიების ზუზუნი, არც ყუმბარებისაგან დაგლეჯილი მიწა. მიდიოდნენ მტკიცედ, მედგრად, ამაყად.

მარია რიშარიც ყოველდღე დადიოდა პოზიციაზე. ის იყო ახალგაზრდა, ლამაზი, ოდნავ მრისხანე სახე ჰქონდა და მთელი არსებით სძულდა ტიერი.

ყოველთვის, როგორც კი გამოჩნდებოდა პოზიციაზე, დაიძახებდა:

— გაუმარჯოს კომუნას! სიკვდილი სამშობლოს მოღალატეებს!

ეს იყო მარია რიშარის მისალმება.

აი, ახლაც, სავსე კალათით ხელში, წითელთავსაფრიანი მარია მოწინავე პოზიციაზე გაჩნდა და ჩაჰყვა სანგრებს. ზუზუნებენ ტყვიები, ყუმბარები

გლეჯენ მიწას, მაგრამ მარიამ უშიშრად ჩამოუარა თავის ნაწილს და დაურიგა საჭმელი.

— რამდენია დღეს დაჭრილი!—გაუკვირდა მარიას.—სად არიან მოწყალების დები? რატომ არ უხვევენ დაჭრილებს?

— ვერ ასწრებენ,—უპასუხეს მას.—გარდა ამისა, რამდენი მოწყალების და დაიღუპა დღეს...მაგარი ბრძოლა გვქონდა.

მარია რიშარი სანგრებს ჩაჰყვა. გარშემო დაჭრილთა კვნესა ისმოდა. ეს კვნესა ყუმბარების გრიალზე საშინელი იყო. ტკივილით თითქოს მარიას სტკიოდა, ხოლო კვნესოდა სხვა.

— მარია!—მოესმა მას.—მიშველე, ვკვდები შემიხვიე.

— რით შევუხვიო?—ჩაფიქრდა მარია,—არტაშანები რომ აღარ მაქვს?

მაინც მივარდა დაჭრილს. გადატეხილი ხელიდან სისხლი ჩქეფით დიოდა. რა ქნას?

დაიხარა დაჭრილისაკენ. თავსაფრიდან ოქროს ნაწნავი გამოცურდა და თეთრ მკერდში ჩასრიალდა. ქალმა თვალი გააყოლა ნაწნავს. ნაწნავმა თავი შეაფარა თოვლივით თეთრ აზღუდს.

მარია სწვდა აზღუდს, მოსწია და მოგლიჯა.

— გმადლობ, ამხანაგო,—უპასუხა შეხვეულმა დაჭრილმა.

— დანარჩენები?—გაიფიქრა მარიამ.—განა შეიძლება იმათი დატოვება? აზღუდი კი ერთი მაქვს.

ტყვიები ისევ ზუზუნებენ. დაჭრილები ისევ კვნესიან და თითქოს ყველანი ეძახიან მას, მარია რიშარს:

— ამხანაგო მარია, გვიშველე!

მარია რიშარმა გაიხადა საცვლები, მოიხსნა თავშალი, კბილებით დაგლიჯა გრძელ, ვიწრო არტაშანებად და დაჭრილებს შეხვევა დაუწყო...

II.

— ესეც უკანასკნელი,—თქვა მარიამ.—რამდენს შევუხვიე? სამოცს...სამოც მეომარს ეყო...

— ყოჩაღ, ამხანაგო!—შეაქო უკანასკნელმა შეხვეულმა.—სამოცი კაცი გიხსნია სიკვდილისაგან. შენ რომ არ ყოფილიყავი, ჩვენ არ გადავრჩებოდით... ჩვენი მოწყალების დები ყუმბარამ იმსხვერპლა... გმადლობთ, ამხანაგო!

დაჭრილი კომუნარი ნამდვილი ფრანგი იყო და ქალს ელეგანტურად გაუწოდა ხელი, თან დასძინა:

— ოხ, რად მილირს ახლა ლამაზი თაიგული: მოგართმევდი.—მარია რიშარმა გაუღიმა. ერთხანს გააჩერა თავისი პატარა ხელი მეომრის ძლიერ ხელში, შემდეგ ადგა, კალათა აიღო და უცებ შეკრთა, ნელა ჩაიკეცა. ალისფერი სისხლის ზოლი დაედინა სახეს.

მარია რიშარმა თავი მოიბრუნა ვერსალისაკენ და ამოიკვნესა:

— ტიერ, სამშობლოს მოღალატევ, მუშების ჯალათო, წყეულ იყავ!

— მარია! შეიხვიე!—დაუძახა მას დაჭრილმა.

— არაფერი მაქვს შესახვევი,—და მარია რიშარმა ჩაკიდა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჭრილი კომუნარი, თაიგულის მირთმევა რომ უნდოდა, ქვემეხთან მიფორთხდა, ქვემეხი ვერსალისაკენ მიაბრუნა და შესძახა:

— მარია რიშარისათვის, რევოლუციის მტრებსა და სამშობლოს მოღალატეებს ცეცხლი!

მარია რიშარმა ძლივს ასწია თავი, მოიკრიბა ძალღონე და უთხრა კომუნარს:

— გმადლობთ, ამხანაგო!

ი. გრიშაშვილი

„უთხარით ზოგიერთ მოსწავლეს, რომ ისინი თავიანთი უხეში საქციელით არცხვენენ საბჭოთა ბავშვებს, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი სამშობლო“.

„კომსომოლსკაია პრავდა“

მე მინდოდა შენს სიტყვებს
ვარდებივით ეხარათ,
შენ კი რა გამოხვედი,—
ბაქია და მკვეხარა!

სახლში ხარ და სულ ორინავ,
ეტოლები ნაგაზებს;
მერხზე ზიხარ,—დანით სჭრი
ზედ უტიფარ ნახაზებს;

ქუჩაში ხარ,—ედები
ხან გოგონებს, ხან ბიჭებს;
შემოგირტყამს დონჯი,
კინგოსავით აბიჯებ.

გუშინ ჩაგიმსხვრევია
სასწავლებლის მინები;
გარიგებენ,—წიგნს ისვრი,
ხელებს იკვრიინები.

„იშკილები“, „ხოში მაქვს“,
„ბითურია“, „არა, რო“—
აი, შენი სიტყვების
საუნჯე და სალარო!

მითხარ, სად გაიზარდე,
რომელ დედის უბეში,
რომ გამოხვედ ასეთი
უქნარა და უხეში?

განა ეს ეკადრება
ამ თაობას, ამ ხანას?
ასე უხდი მადლობას
ბელადსა და ამხანაგს?!

განა გმირი მარცოკა
იბადება ბრძოლაში,—
გმირი უნდა გაიწვრთნას
აქაც, თქვენთან, სკოლაში.

დაუფიქრდი საქციელს,
მოიქეცი ჭკვიანად,
ემსახურე სამშობლოს
წმინდად, ნამუსიანად,

რომ ვინც შეგხვდეს, ვინც იყოს
შემდეგ შენი მნახველი,—
თქვას: „ღირსია ატაროს
პიონერის სახელი“!

ნიკოლო ნაბრელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლუსის საიდუმლოებანი გამოიცალა ხელიდან

ძვირფასო ბავშვებო!

ის ამბავი, რომელზედაც ახლა მე მინდა მოგითხროთ, გასული წლის მაისში დაიწყო. ერთ დღეს, დილაადრიან, შორეული რუდოლფის ყინულოვანი კუნძულიდან აფრინდა მძიმე ხომალდი.

ამ ვეებერთელა ფრთებიანმა მანქანამ მაღლა ასვლისთანავე გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო. სახელგანთქმული მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ვოდოპიანოვი, სულ წინ იხედებოდა და უშიშრად მიაქროლებდა მძიმე ხომალდს.

გზა სახიფათო იყო, საშინელი და დამაფიქრებელი, ჰაერი — ტყვიასავით მძიმე; მაღლიდან ქვევით ყინულები, ყინულები და ისევ ყინულები მოჩანდა, არსად ხმელეთი, არსად მიწა; მაგრამ ვეებერთელა თვითმფრინავი მაინც უშიშრად მიქროდა და არღვევდა თვალუწვდენელი ყინულეთის მარადიულ მყუდროებას.

რამდენიმე საათის მგზავრობის შემდეგ გზაც დაილია. თვითმფრინავმა წრე გააკეთა ჰაერში და ძირს დაშვება იწყო.

იმავე დღეს, ოცდაერთ მაისს, თერთმეტ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე, ხომალდი მოდრეიფე ყინულზე დაფრინდა.

ᲔᲡ ᲘᲧᲝ ᲞᲝᲚᲣᲡᲘ

მანქანიდან გადმოვიდნენ დიდი სამშობლოს სახელოვანი შვილები: პაპანინი კრენკელი, შირშოვი, ფედოროვი, ვოდოპიანოვი შმიდტი... გარშემო მიმოიხედეს; სულ ველები, თვალუწვდენელი ყინულოვანი ველები ჩანდა, არსაიდან ისმოდა ჭაჭანებაც კი, სამარისებური მდუმარება დაუფლებოდა მიდამოს. სისინებდა ცივი ქარი, მჩხვლეტავი და სევდისმომგვრელი...

ექსპედიციის ხელმძღვანელმა, ცნობილმა პოლარელმა ივანე დიმიტრის ძე პაპანინმა, გადახედა უზარმაზარ მოდრეიფე ყინულის ხელისგულივით გაშლილ შუაგულს და თქვა:

— აი, აქ უნდა მოეწყოს ჩვენი კარავი.

— დიახ, სწორია! — დათანხმდნენ ამხანაგები.

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲠᲐᲕᲘ

გმირმა მეზამთრეებმა თვითმფრინავიდან ქათქათა თოვლზე დაიწყეს სხვადასხვა მასალისა და მოწყობილობის გადმოტვირთვა. მეტად ბევრი საქმე აღმოჩნდა: მინდვრის გაწმენდა, კარავის აგება, მთელი მეურნეობის მოწესრიგება.

ვერც ყინულების ზრიალს და ვერც გრიგალის ღმუილს ვერ უნდა დაენგრია ლეგენდარული კარავი. ამიტომ პაპანინელები ზუსტად ზომავდნენ ყველაფერს და ბეჯითად აგებდნენ ისტორიულ ბინას.

მალე კიდეც გააკეთეს ჩინებული სადგომი. იატაკად დააგეს ჰაერით გაბერილი წყალშეუვალი ბალიშები, ჭერს ბუმბულის ჩალითა გადააკრეს, კედელი საუცხოოდ შეფუთნეს. გარშემო კი კარავს ყინულების გალავანი შემოავლეს, რომ ქარსა და გრიგალს არ დაენგრია იგი.

ᲢᲑᲘᲓᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲘᲚᲕᲐᲠᲐ

აი, ასეთ მშვენიერ ბინაში დასახლდნენ პოლუსზე პაპანინელები. ეს მათი ოთახი თუმცა თბილი იყო, მაგრამ ამავე დროს ძალიან ვიწრო, — მთელი ფართობი სულ თორმეტ კვადრატულ მეტრს აღწევდა. კარავის ერთი განყოფილება გასახდელს ეკავა, დანარჩენი ნაწილი კი სხვადასხვა ნივთებს.

როგორ იძინებდნენ მეზამთრეები?

მოვუსმინოთ გამოჩენილ რადისტს ერნსტ თეოდორეს ძე კრენკელს.

„შირშოვის ფეხებთან თოკზე ჰკიდია მოძველებული პორტფელი. პატივისცემით შევყურებთ მას: აქ ინახება ჩრდილოეთის პოლუსის საიდუმლოებანი...

ყოველ ჩვენთაგანს აქვს თავისი კუთხე, სადაც სხვადასხვა წვრილმანი ინახება. ყველაზე მეტი საწვრილმანო აქვს პაპანინს. მას სძინავს თოკებზე, მავთულის ნაჭრებზე, რვეულებზე, წიგნებზე, ასანთის კოლოფებზე...

კედლებზე დაკიდებულია იარაღი, ნათურები, თოკზე ჰკიდია ჩვენი აფთიაქი, რომელიც მოთავსებულია პატარა ყუთში“.

გმირი მეზამთრეების კარავი პირველად სწორ თოვლზე იდგა, მაგრამ შემდეგ, როცა ამინდი მოთბა, გარშემო თოვლი დადნა, კარავთან პატარა ტბა დადგა. პაპანინმა აიღო ხელსაწყოები და არხის გაყვანას შეუდგა. ტბიდან წყალი არხში გადაიღვარა, და კარავიც ასცდა ხიფათს.

„გვეშინოდა სადგურის უფროსის აფეთქების“

თვალუწვდენელ მდუმარე ყინულეთზე ჩამოწვებოდა ღამე, ზლაზვნია პოლარული ღამე. მხოლოდ მცირე ხნით თუ გამოაშუქებდა სინათლე. ხანდახან კიდევ ყომრალი ნისლი მოფრინდებოდა და სულ ერთიანად ფარავდა ყველაფერს.

მაგრამ პაპანინელები მაინც არ კარგავდნენ სიმხნევეს, მხიარულად და ხალისიანად ცხოვრობდნენ და მეცნიერულ დაკვირვებებს აწარმოებდნენ. ყველანი საქმით იყვნენ გართულნი. ზოგი რას აკეთებდა, ზოგი რას.

ერთხელ გაფაციცებით მუშაობდა ივანე დიმიტრის-ძე პაპინინი. მას წესრიგში მოჰყავდა საწვავი მასალის მარაგი. რატომღაც ტუმბო გაფუჭებულიყო, და ამიტომ სადგურის უფროსმა ნავთის ჩამოსხმა სიფონის საშუალებით სცადა.

მან ბაკში ჩაუშვა რეზინის მილი და ნავთის ამოწოვას შეუდგა. მაგრამ ღრმად შეისუნთქა და ნავთი ჩაყლაპა.

„ორი დღის განმავლობაში, — წერს კრენკელი, — ჩვენ ვერიდებოდით მის ახლოს პაპიროსის მოწევას, რადგან გვეშინოდა სადგურის უფროსის აფეთქების“.

ვერაფერი ვერ აღონებდათ გმირ მეზამთრეებს, გმირულად და უშიშრად ცხოვრობდნენ ისინი შორეულ ყინულეთში, ხშირად საშინელი გრიგალისა და ყინულების ერთმანეთის დაჯახების დროსაც ივანე პაპანინი მშვიდად აღნიშნავდა რადიოგრამაში: ყველაფერი რიგზეაო.

ამასვე წერდა იგი იმ დროსაც კი, როცა მოდრეიფე ყინული დასკდა, როცა ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო ყინულის დამსხვრევა და, მაშასადამე, კატასტროფაც. მაგრამ გმირები კარგად იყვნენ დარწმუნებული იმაში, რომ მათ არ მიატოვებდა დიდი სამშობლო, მათ არ მიატოვებდა საყვარელი მამა, დიდი სტალინი.

თბილი დინება

თითოეული წამი, თითოეული წუთი საქმით იყო დატვირთული. ყველა თავის მოვალეობას ასრულებდა. დაუღალავი მეცნიერი პეტრე შირშოვი ოკეანის წყალს უკვირდებოდა და იკვლევდა.

აქ ერთხელ მეცნიერმა ისეთი რამ დაინახა, რომლის შესახებაც არაფერი იცო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ: რაც უფრო ღრმად უშვებდნენ ხელსაწყოს, წყალი მით უფრო თბილი იყო — ეს თბილი დინების არსებობას მოასწავებდა.

დიახ, პეტრე შირშოვმა გამოარკვია, რომ პოლარული ბასეინის ცენტრში, გადის შედარებით თბილი წყლის მძლავრი ფენა.

ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვანია ეს აღმოჩენა, ეს ბევრ ბუნდოვან საკითხს გახსნის გეოფიზიკაშიც და ბიოლოგიაშიც.

ეს ხომ ცხოველებია

პაპანინელები ხშირად ფიქრობდნენ დიდი პოლარული მკვლევარის ფრიტიოფ ნანსენის ერთ ჰიპოთეზაზე. ნანსენის აზრით, პოლუსის რაიონში სიცოცხლე არ უნდა ყოფილიყო.

— ნუთუ ეს მართლა სწორია? ნუთუ არავითარი ცხოველი არ არის ოკეანის სიღრმეში? — არ ასვენებდათ მეზამთრეებს ეს კითხვები.

ამიტომ ერთხელ პაპანინელებმა ყინულოვან ოკეანეში, ათასი მეტრის სიღრმეზე, პლანქტონის ბადე ჩაუშვეს. მთელი მათი ოცნებაც ბადეს ჩაჰყვა ქვევით, ოკეანის სიღრმეში. გულისფანცქალით ელოდნენ შედეგს.

და აი, როცა ბადე ამოიღეს, მათ სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ერთბაშად დაინახეს სხვადასხვა ცხოველები: მოლუსკები, მატლები, მედუზები, კიბოები... წყლის მცხოვრებნი წითლად იყვნენ შეღებილნი, მეზამთრეებმაც მაშინვე დაასკვნეს, წითელი ფერი სინათლეს მოკლებულ ცხოველთა დამახასიათებელი ფერიაო.

ამრიგად, პაპანინელებმა გააბათილეს დიდი მკვლევარის ნანსენის ჰიპოთეზა.

ბევრ საიდუმლოებას აეხადა ფარდა

არა მარტო ეს, არამედ უამრავი სხვა საიდუმლოება გამოამჟღავნეს პაპანინელებმა. მათ შეკრიბეს ძვირფასი ცნობები ჩრდილოეთის პოლუსის შესახებ და დაამუშავეს ისინი. პაპანინელთა ცნობები ხომ პირველია მსოფლიოში.

აი, მაგალითად:

პირველად არის მიღებული ცნობები ჰაერის ტემპერატურის შესახებ, ქარების, მათი ძალისა და მიმართულების შესახებ.

პირველად გამოარკვიეს პაპანინელებმა, რომ მაგნიტური მერიდიანი გრინვიჩის მერიდიანისაგან გადახრილია ორმოცდაერთი გრადუსით დასავლეთისაკენ.

პირველად დაიჭირეს პაპანინელებმა პოლუსის მახლობელი რაიონის წყლის ფაუნის წარმომადგენლები.

ისევ უკან, დედაქალაქისაკენ

ხალისიანად და საინტერესოდ მიდიოდა დღეები ყინულზე. პაპანინელები უმუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი დიდ სამშობლოსთან. თორმეტ დეკემბერს ხალხმა ისინი სიყვარულით აირჩია უზენაესი საბჭოს დეპუტატებად.

ამ ამბავმა ძალიან გაახარა მეზამთრეები. რადისტი კრენკელი, რომელიც ხშირად ავალებდა ამხანაგებს ეტრიალებინათ ხელის ელექტროძრავი, ოხუნჯობდა:

— მითხარით, განა ვინმე სხვა რადისტს შეუძლია დაიკვეხოს, რომ მას ემსახურებოდა საბჭოთა პარლამენტის სამი დეპუტატი, რომლებსაც ექვსი ორდენი აქვთ?!

დიდმა სამშობლომ განსაცდელის დროს არ მიატოვა ისინი. როგორც კი გაიგეს პარტიამ და მთავრობამ, რომ საფრთხე უახლოვდებოდა კარავს, მოდრეიფე ყინულისაკენ გაგზავნეს საუკეთესო გემები და თვითმფრინავები.

გრენლანდიის ნაპირებთან ჩაუსწრეს მეზამთრეებს. ჩაუსწრეს და გადმოიყვანეს გემებზე. მეზამთრეებმა თან წამოიღეს ძვირფასი ცნობები, აუარებელი ძვირფასი მასალა.

სანდრო ქლენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილის სიმღერა

ჩემო სამშობლო, ნათელმზიანო,
გული ივსება ბედნიერებით...
ვშრომობ ვაჟკაცის თანაზიარი,
მეც მოამაგე ჩვენი ცხოვრების.

ჩემო სამშობლო, შენთან იზრდება
ჩემი ქალობის ხმა და უფლება,
და ამ ბრწყინვალე ქვეყნის დიდება
ყოველ კუთხიდან მესაუბრება.

ჩემო სამშობლო, არსად არ არის
სხვა უტურფესი მხარე ახალი,
შენი სიუხვით ყვავის მთა-ბარი,
შენი დოვლათი მზრდის და მახარებს.

ჩემო სამშობლო, შენი კარგობა
მარგალიტების მძივად აცმულა,
ეს გაზაფხული, მზე და ვარდობა
სხვა ქვეყანაში ჯერ არ ნახულა.

ჩემო სამშობლო, დროშაგაშლილი
მხარს დავუმშვენებ მებრძოლ ამხანაგს,
და, თუ საჭირო იქნება, მაშინ
ერთად იქუხოს ხმამ და შაშხანამ.

ჩემო სამშობლო, მზით მოქარგულო,
მზით მოქარგულო, გულსაც ასარკებ,
რომ გვაცისკროვნებს სასიხარულოდ
დიდი ბელადის სიტყვა და საქმე.

ჩემო სამშობლო, შენთან იზრდება
ჩემი ქალობის ხმა და უფლება,
და ამ ბრწყინვალე ქვეყნის დიდება
ყოველ კუთხიდან მესაუბრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგაფხუდი

ხემ ფოთლები წამოისხა,
ბაღი სულ მთლად გადიპენტა,
ნულარ წახვალ, გაზაფხულო,
სამუდამოდ დარჩი ჩვენთან.
თბილ ქვეყნიდან გადმოფრინდნენ
შოშიები და მერცხლები,
გაიღვიძა ტყემ, მთამ, ველმა,
და ბულბულის ისმის ხმები.
კორდზე ცხვარი შეფენილა,
ერეკება მწყემსი ხარებს,
ვიმ, შეხედეთ მოჩუხჩუხეს,
მოკრიალე მთის მდინარეს!
ნელი სიო ფოთლებს არხევს,
ჩაუქროლებს ხშირად ჭალებს,
რა სჯობია აქოჩრილ ტყის
შრიალსა და სინარნარეს!
მინდორ-ველზე გადაშლილა
ტრაქტორების შავი ხნული,
შრომობს ხალხი ბედნიერი
შვებითა და სიხარულით.
საამური ცხოვრება აქვს,
სინეტარით უფეთქს გული,
და მადლობას უძღვნის იგი
ჩვენს დიდ სტალინს წრფელი გულით.

მურმან ლებანიძე

თბილისი, მე-35-ე სკოლის მე-8-ე კლასის მოწაფე.

ღამის წყვდიადი დასწოლოდა მიდამოს. ყველაფერი მიწყნარებულიყო. სოფელს ღრმად ჩასძინებოდა.

მთავარ ქუჩაზე მივდიოდით მე და ჩემი ამხანაგი პიონერი ოთარი. ჩვენ ლამარასთან ვიყავით. იქ ერთად წავიკითხეთ ერთი შესანიშნავი მოთხრობა და ახლა შინ ვბრუნდებოდით.

აი, უეცრად მყუდროება ძაღლის ყრუ წკმუტუნმა დაარღვია. ამ წკმუტუნმა ჩაგვაფიქრა და ერთ ადგილზე გაგვაშეშა.

შემდეგ საბედისწერო ხრიალი მოგვესმა და სულ მალე ყველაფერი მიწყნარდა. ეტყობოდა, ბოროტმოქმედებმა ძაღლი დაახრჩვეს.

— გიორგი, — შემკრთალი ხმით წამოიძახა ოთარიმ, — რაღაც საოცარი ამბავი მოხდა. გავიქცეთ, ვნახოთ!

— მერე საით?

— „განთიადის“ ბოსლისაკენ.

ჩვენ მართლაც იქითკენ გავიქეცით. ჩქარა, მაგრამ წყნარად მივდიოდით: გვინდოდა ჩუმად მივსულიყავით შემთხვევის ადგილზე.

მალე კიდეც მივუახლოვდით ბოსელს. და აი, დედავ, რას ვხედავთ! ქურდებს ძაღლი მოუკლავთ, კოლმეურნეობის საუკეთესო სამი უღელი ხარი გამოუყვანიათ ბოსლიდან და მათ გარეკვას აპირებენ.

მე და ოთარი სულგანაბულნი ამოვეფარეთ ბუჩქებს. გვინდა გავიგოთ, თუ ვინ არიან ქურდები.

— აი, ის ხომ... — წყნარად თქვა ოთარიმ და ხმა ჩაუწყდა.

— ვინ?

— ის ხომ... თავმჯდომა... რეა... ნესტორი...

— რას ამბობ! გავიკვირვე მე, და არა თუ გიორგის სიტყვების, ჩემი თვალებისაც აღარ მჯეროდა.

ისევ მივაჩერდით იმ კაცს და კარგად დავრწმუნდით, რომ ნესტორი იყო, ნესტორი, რომელიც უმწიკვლო ადამიანად აჩვენებდა ხალხს თავს, ახლა უქნარა ვანოსა და თედორესთან ერთად იპარავდა „განთიადის“ სამ უღელ ხარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო სამშობლოვ!

რას გამსგავსო, ბედნიერო,
საამაყო მხარევ,
ია-ვარდით მოქარგულო,
მუდამ გაიხარე!
როგორც ვარდი გაზაფხულის
იფურჩქნება, ყვავის,
ისე ყვავის ტკბილი ყოფნა
შენი მთა და ბარის.
შენი სივრცე მორევია
დიდი სიხარულის,
ვსვამთ სიხარულს, ვეწაფებით,
რომ ავივსოთ გული.
გაზაფხულზე, როგორც მიწა
იმოსება მწვანედ
და ბიბინებს ხავერდივით
ტურფა არემარე,—
ასე შენ ხარ შემოსილი,
ჩემო ტკბილო მხარევ,
ზურმუხტებით, სიხარულის
ცეცხლით მოელვარევ!
დღეს ცხოვრება ძვირფასია,
შარბათივით ტკბილი,
და ცხოვრების საჭეს მართავს
შენი დიდი შვილი.

ალექსანდრე გეგაშვილი

სიღნაღი, ანაგის სრული საშუალო სკოლის მე-8-ე კლასის მოწაფე.

კავკასიის მთები

ისე მოჩანს ჩაკირული
კავკასიის მთები,
თითქოს ფიქრში ჩაძირული
ყრიან ვეშაპები!
რა ლამაზი ბუნებაა,
რა ლამაზი მდელო,
გენაცვალეთ, აზიდულო
კავკასიის მთებო!
უწინ სადაც დაბურული
ტყე იყო და ჯაგი,
იწვა ლამე და დუმილი,
არსად ენთო ჭრაქი, —
დღეს იქ თვალი, სადაც სწვდება,
გამარჯვებებს ითვლის...
იმდენია აქ მიღწევა,
ენა ვერც კი იტყვის...
ყველგან ვერცხლის წყარო მორბის,
ირგვლივ ყვავის ბალჩა,
მოსავალიც უხვი მოდის,
რაც ტრაქტორი გაჩნდა!

მიხეილ გაფრინდაშვილი

აფენის საშუალო სკოლის მე-7-ე კლასის მოწაფე.

— ოთარი, წავიდეთ, ახლავე წავიდეთ კომკავშირის მდივან დათიკოსთან. ჩურჩულით ვუთხარი ოთარის.

გავიქეცით.

გავალვიძეთ დათიკო და კიდევ ორიოდე კომკავშირელი.

ქურდებს ერთად დავედევნეთ.

მთელი ქუჩა გავიარეთ. ვერავის წავაწყდით. მხოლოდ სოფლის ბოლოში დავინახეთ რაღაც მოძრავი ლანდები. ისინი ტყისაკენ მიიჩქაროდნენ. მალე კიდეც მივიდნენ ტყესთან და თვალს მიეფარნენ.

ახლა კვალს გავყევით. ვიარეთ, და სწორედ განთიადისას ტყის შუაგულში შევეფეთეთ ქურდებს. ერთი ხარი უკვე დაეკლათ და მეორეს უგრეხდნენ კისერს. საცოდავი პირუტყვი შესაბრალისად გამოიყურებოდა.

— შესდექით!—დასჭექა დათიკომ.

ქურდები დაიბნენ. ნესტორი გაფითრდა. ეს ამბავი კაცი ცახცახმაც კი აიტანა.

— არა...ისე...სხვა გეგმა გვქონდა...—დაიწყო ლუღლუღი ბანდიტმა.

— ხო, ახლა კი ვიცი, რაც გინდოდათ. აი, თურმე, ვინ აგულიანებდა ამ უქნარებს, ვინ დაალპო ასი კოდი პური, ვინ გააფუჭა სათესლე ხორბალი, ვინ ეწეოდა მავნებლობას ჩვენს კოლმეურნეობაში...

გველო, ქვეწარმავალო, ხალხის საზიზღარო მტერო! დანაშაულზე შეგასწრეს...

პიონერი—**გიორგი დგებუაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი

ცნობილი რუსი მწერალი ანტონ პავლეს-ძე ჩეხოვი 1860 წელს დაიბადა ქ. ტაგანროგში. მისი გაბუა ყმა იყო და მეგატონისაგან გამოისყიდა მთელი თავისი ოჯახი, თითო სულში 700 მანეთი გადაიხადა. ა. ჩეხოვის მამა ვაჭარი იყო, მაგრამ ცუდად წაუვიდა ვაჭრობის საქმე და მოსკოვში გადასახლდა. ა. ჩეხოვმა 1879 წელს დაამთავრა ტაგანროგის გიმნაზია და მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა სამედიცინო ფაკულტეტზე.

1880 წელს დაიბეჭდა ა. ჩეხოვის პირველი მოთხრობა. ავტორმა მალე გაითქვა სახელი, მკითხველნი მოუთმენლად ელოდნენ ანტოშა ჩეხონტეს (ფსევდონიმია) მოთხრობებს.

ა. ჩეხოვი ჭლექით გახდა ავად. 1888 წელს მას პუშკინის პრემია მიუსაჯეს, ხოლო 1900 წელს აირჩიეს მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. 1902 წელს მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს მაქსიმ გორკი, მაგრამ ეს არჩევნები მეფის მთავრობამ არ დაამტკიცა: მ. გორკი პოლიტიკურად არასაიმედოა, სად გაგონილა მისი აკადემიკოსობაო. ამან ძალიან გააბრაზა ა. ჩეხოვი და პროტესტის ნიშნად უარი განაცხადა აკადემიის წევრობაზე.

ა. ჩეხოვი 1904 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებულია მოსკოვში.

ა. ჩეხოვს ბევრი თხზულება დარჩა. ის უმთავრესად წერდა მოკლე მოთხრობებს, აქვს პიესებიც. მისი მოთხრობები ძალიან მივზიდველია, მას შესანიშნავად ეხერხება ადამიანის დამახასიათებელი თვისების გამოჭერა ასეთია, სხვათა შორის, მისი „უნტერი პრიშიბეევი", რომელიც ხალხთა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა გამოიყენა ამხ. ივანოვისადმი მიწერილ პასუხში (იხ. „კომუნისტი", 1938 წ. 15 თებერვლის № 37 (5138), სადაც თქვა: „თუ ადამიანები საკ. ალკა ოლქკომიდან მართლაც მოისურვებენ დაემსგავსონ ჩეხოვის უნტერ-ოფიცერს პრიშიბეევს, ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ ისინი წააგებენ ამით. ჩვენ ქვეყანაში არ უყვართ პრიშიბეევები".

საინტერესოა უნტერ პრიშიბეევის ყოველი მოქმედება, სხვის საქმეებში ჩარევა, არამკითხაობა; მისი მეტყველება ამჟღავნებს მის გონებრივ ავლადიდებას. მაგალითად, ის ამბობს: „ავადმყოფობის სისუსტის გამოისობით", „სილაზე მკვდარი ადამიანის დამხრჩვალი ცხედარია" „იქნება ეს დამხრჩვალი მკვდარი თვითონ დაიხრჩო" „იქნებ აქ სიკვდილის მკვლელობაა" და სხვ. მშვენიერია აგრეთვე ჩეხოვის მოთხრობა „კაცი ფუტლიარში", რომელიც უკვე გამოიცა ქართულად (სასკოლო ბიბლიოთეკისათვის). გადათარგმნილია და წელს დაიბეჭდება ა. ჩეხოვის სხვა მოთხრობებიც.

ა. ჩეხოვი

უნტერ-ოფიცერო პრიშიბეევო

— უნტერ-ოფიცერო პრიშიბეევო! თქვენ ბრალი გედებათ მასში, რომ ამა წლის 3 სექტემბერს სიტყვითა და მოქმედებით მიაყენეთ შეურაცხყოფა ურიადნიკ ჟიგინს, თემის მამასახლისს ალიაპოვს, ასისთავს ეფიმოვს, მოწმეებს ივანოვსა და გავრილოვს, აგრეთვე ექვს გლეხს, თანაც პირველ სამს თქვენ შეურაცხყოფა მიაყენეთ მაშინ, როდესაც ისინი სამსახურის მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს ასრულებდნენ. სცნობთ თუ არა თავს დამნაშავედ?

პრიშიბეევმა, გესლიანი სახის მქონე დანაოჭებულმა უნტერმა, ხელები შარვლის ნაწიბურებზე დაიწყო, გაიჭიმა და უპასუხა ჩახლეჩილი, მოგუდული ხმით, ყოველი სიტყვის მკაფიოდ გამოთქმით, თითქოს ბრძანებას იძლევაო:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბატონო მომრიგებელო მოსამართლევ! ესე იგი, კანონის ყველა მუხლით გამოდის მიზეზი ყოველგვარ გარემოებას ერთი-მეორესთან დაკავშირებით გაუკეთდეს ატესტაცია. დამნაშავე მე კი არა ვარ, არამედ ყველა დანარჩენები. მთელი ეს საქმე ატყდა, სასუფეველი დაუმკვიდრდეს, მკვდარი ცხედრის გამოისობით. მივდივარ ჩემ ცოლ ანფისასთან ერთად სამ რიცხვში წყნარად, კეთილშობილურად, და ვხედავ — ნაპირთან დგას ჯგუფი სხვადასხვა ხალხის ადამიანებისა. რა სრული უფლებით შეიკრიბა აქ ხალხი? — ვკითხულობ. რისთვის? განა კანონში ნათქვამია, რომ ხალხმა ჯოგად იაროს?! ვუყვირი: დაიშალეთ! დავუწყე ხალხს მუჯლუგუნებით მიწევ-მოწევა, რომ თავის სახლებში წასულიყვნენ, ასისთავს ვუბრძანე კინწისკვრით გაერეკა...

— მოითმინეთ, თქვენ ხომ არც ურიადნიკი ხართ, არც მამასახლისი, განა თქვენი საქმეა ხალხის დაშლა?

— რა მაგისი საქმეა! რა მაგისი საქმეა! — მოისმოდა ხმები ოთახის ყოველი კუთხიდან. — მაგან სიცოცხლე გაგვიმწარა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! თხუთმეტი წელია ასე გვაწამებს! რაც სამსახურიდან დაბრუნდა, მის შემდეგ ისეთ დღეში ვართ, რომ ლამის ავიყაროთ სოფლიდან. ყველა გააწამა!

— სწორედ ასეა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — ამბობს მოწმე მამასახლისი. — ყველანი ერთობლივ ვჩივით. მაგასთან ცხოვრება არანაირად არ შეიძლება! ხატებით დავდივართ, ქორწილი გვაქვს თუ, ვთქვათ, სხვა რამე შემთხვევაა, — ეს ყველგან ყვირის, ხმაურობს, სულ წესრიგს ამყარებს. ბავშვებს ყურებს უწევს, ქალებს უთვალთვალებს, აქაო და რაიმე არ მოხდესო, თითქოსდა მამამთილი იყოს... ამასწინათ ქოხებში დადიოდა და ხალხს უბრძანებდა — სიმღერები არ იმღეროთ და ცეცხლი არ დაანთოთო. ასეთი კანონი არ არისო, ამბობდა, რომაო სიმღერები იმღეროთო.

— მოითმინეთ, თქვენ მოესწრებით ჩვენების მოცემას, — ამბობს მომრიგებელი მოსამართლე, — ახლა კი ისევ პრიშიბეევმა განაგრძოს. განაგრძეთ, . პრიშიბეევო!

— მესმის! — ხიხინებს უნტერი. — თქვენ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ბრძანებთ, რომ ჩემი საქმე არ არის ხალხის გარეკვა... კეთილი... მაგრამ თუ უწესობაა? განა შეიძლება ნება მივცეთ, რომ ხალხი უწესოდ იქცეოდეს? აბა სადა სწერია კანონში, რომაო ხალხს თავისუფლება მიეცესო? მე ვერ მივცემ ამის ნებას. თუკი მე არ დავუწყე მათ გარეკვა და პასუხიც არ ვაგებინე, მაშ ვინ იზამს ამას? არავინ არ იცის ნამდვილი წესები, მთელ სოფელში მხოლოდ მე ერთმა, შეიძლება ითქვას, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ვიცი, როგორ უნდა მოვექცეთ უბრალო წოდების ხალხს, და, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მე შემიძლია ყველაფრის გაგება. მე გლეხი კი არა ვარ, უნტერ-ოფიცერი ვარ, სამსახურიდან გამოსული კაპტენარმუსი, ვარშავაში ვმსახურობდი შტაბში, იმის შემდეგ კი, მოგეხსენებათ, როცა სულ გავთავისუფლდი, მეხანძრედ ვიყავი, იმის შემდეგ კი, ავადმყოფობის სისუსტის გამოისობით, მეხანძრე-

ობას თავი დავანებე და ორ წელიწადს ვაჟთა კლასიკურ პროგიმნაზიაში ვიყავი მეკარედ... ყოველგვარი წესი ვიცი. გლეხი კი უბრალო ადამიანია, მას არაფერი არ ესმის და მე უნდა გამიგონოს, იმიტომ, რომა მისთვისვე სასარგებლოა. ავიღოთ მაგალითად თუნდაც ეს საქმე... ხალხს ვრეკავ, ნაპირზე კი, სილაზე მკვდარი ადამიანის დამხრჩვალი ცხედარია. რა საფუძველით ძევს მეთქი, ვკითხულობ, ეს აქა? განა ეს წესიერებაა? რას უყურებს ურიადნიკი? შენ მეთქი, ვეუბნები, ურიადნიკო, რატომ მთავრობას არ აცნობებ მეთქი? იქნება ეს დამხრჩვალი მკვდარი თვითონ დაიხრჩო, მაგრამ იქნება აქ საცინბირო საქმეა. იქნება აქ სისხლის სამართლის სიკვდილის მკვლელობაა... ურიადნიკმა ჟიგინმა კი არავითარი ყურადღება არ მომაქცია, მხოლოდ პაპიროსს აბოლებდა. „ვინ გყოლიათო, ამბობს, თქვენ ეს მბრძანებელიო? საიდან იშოვეთო, ამბობს, თქვენ ეს ასეთიო? განა ჩვენ უმაგისოდ არ ვიცითო, ამბობს, ჩვენი საქციელიო? მაშასადამე, ვეუბნები, შენ არ იცი, შე ასეთო ყეყეჩო, თუ კი აქ დგახარ და ყურადღებას არ აქცევ მეთქი. მეო, ამბობს, გუშინვე ვაცნობე უბნის ბოქაულსაო. რატომ უბნისას მეთქი, ვეკითხები? კანონთა კრებულის რომელი მუხლით მეთქი? განა ასეთ საქმეებში უბნის ბოქაულს შეუძლია მეთქი? ასეთ საქმეებში, როდესაც დამხრჩვალებია, ან ჩამოხრჩობილები და სხვა ამგვარი ამის მსგავსი, განა აქ, ვეუბნები, სისხლის სამართლის საქმეა, სამოქალაქო... აქ, ვეუბნები, სასწრაფოდ უნდა გაეგზავნოს მეთქი ესტაფეტი ბატონ გამომძიებელს და მოსამართლეებს და უპირველეს ყოვლისა, ვეუბნები შენ უნდა შეადგინო აქტი და გაუგზავნო ბატონ მომრიგებელ მოსამართლეს მეთქი. ის კი, ურიადნიკი, სულ მიგდებს ყურს და იცინის, გლეხებიც აგრეთვე ყველანი იცინოდნენ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ. ფიცქვეშაც კი შემიძლია ჩვენების მოცემა. აი ესეც იცინოდა, აი ისიც, ჟიგინიც იცინოდა. რას იკრიჭებით მეთქი, ვეუბნები. ურიადნიკი კი ამბობს: მომრიგებელ მოსამართლესო, ამბობს, ასეთი საქმეები არ ეხებაო. ამ სიტყვებზე სულ ცეცხლი მომედვა.—ურიადნიკო, ხომ ასე სთქვი?— მიუბრუნდა უნტერი ურიადნიკ ჟიგინს.

— ვთქვი.

— ყველამ გაიგონა, შენ რომ ეს სთქვი მთელი უბრალო ხალხის თანადასწრებით: მომრიგებელ მოსამართლეს ასეთი საქმეები არ ეხებაო. ყველამ გაიგონა, შენ რომ ეს... მე, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ცეცხლი მომედვა, მე მთლად წავხდი. გაიმეორე მეთქი, ვეუბნები, შე ასეთ-ისეთო, გაიმეორე მეთქი, რა სთქვი! მან ისევ ეს სიტყვები... მე მასთან მივედი. როგორ შეგიძლია მეთქი, ვეუბნები, ასე ახსნა მეთქი ბატონ მომრიგებელ მოსამართლეზე? შენ პოლიციის ურიადნიკი ხარ და ხელისუფლების წინააღმდეგ ხარ მეთქი? ა? შენ მეთქი, ვეუბნები, იცი, რომ ბატონ მომრიგებელ მოსამართლეს შეუძლია, თუკი მოისურვებს, ასეთი სიტყვებისათვის ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოში მეთქი, შენი არაკეთილსაიმედო ყოფაქცევის მიზეზით მეთქი? იცი თუ არა მეთქი, ასეთი პოლიტიკური სიტყვებისათვის საით შეუძლია მეთქი გიკრას თავი ბატონმა მომრიგებელმა მოსამართლემ? მამასახლისი კი ამბობს: მომრიგებელ მოსამართლეს, ამბობს, თავისი ფარგლების იქით არავითარი მნიშვნელობა არა აქვსო; მარტო პატარა საქმეები ეხება იმასო. სწორედ ასე სთქვა, ყველამ გაიგონა... როგორ ბედავ მეთქი ხელისუფლების დამცირებას? არა, მე ნუ მეხუმრებით მეთქი, ვეუბნები, თორემ საქმე, ძამია, ცუდად იქნება მეთქი. იყო ხოლმე შემთხვევა, რომ ვარშავაში, ანდა როდესაც მეკარედ ვიყავი ვაჟთა კლასიკურ პროგიმნაზიაში, როგორც კი გავიგონებდი რაიმე არასაიმედო სიტყვებს, ქუჩაში ვიცქირებოდი, ჟანდარმი ხომ არსად ჩანს მეთქი. „აქ მო, კავალერო“ — ვეტყოდი და ყველაფერს მოვახსენებდი. სოფელში კი აბა ვის ეტყვი. ბრაზი მომერია. მწყინს, რომ ახლანდელი ხალხი თვითნებობასა და დაუმორჩილებლობას მიჰყვა, მოვიქნიე ხელი და... რასაკვირველია, ისე, მაგრად კი არა, მაგრამ, სწორია, მსუბუქად, რომ არ გაბედოს თქვენს მაღალკეთილშობილებაზე ასეთი სიტყვების თქმა... მამასახლისს ურიადნიკი გამოესარჩლა. მე, ესე იგი, ურიადნიკსაც... და შეიქნა დაკა-დაკა... გავცეცხლდი, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მაგრამ უიმისოდაც ხომ არ შეიძლება, რომ არა სცემო. თუ სულელ კაცს არა სცემე, ცოდვა გაგიდიდდება. ნამეტურ თუ საქმისათვის... თუ უწესობაა...

— მოითმინეთ! უწესობის თვალყურისმდევნებლებიც არიან. ამისათვის არიან ურიადნიკი, მამასახლისი, ასისთავი...

— ურიადნიკი ხომ ვერ გასწვდება ყველაფერს, ამასთანავე ურიადნიკი ვერც ერკვევა იმაში, რაშიდაც მე ვერკვევი...

— გაიგეთ, რომ ეს თქვენი საქმე არ არის.

— რას მიბრძანებთ? როგორ თუ ჩემი საქმე არ არის? საოცარია... ხალხი უწესოდ იქცევა და ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმე არ არის? მაშ შევაქო ისინი თუ რა? აი, ისინი მიჩივიან თქვენთან, რომ სიმღერების მღერას ვუშლი. სიმღერებში აბა რა არის კარგი? იმის მაგიერ, რომ რამე საქმე აკეთონ, ისინი სიმღერებს... მერე კიდევ მოდა გადმოიღეს, საღამოობით ლამპა უნთიათ. უნდა დაწვნენ, ისინი კი ლაპარაკობენ და იცინიან. მე ჩაწერილი მაქვს, ბატონო!

— რა გაქვთ ჩაწერილი?

— ვისაც ლამპა აქვს ანთებული.

პრიშიბეევი ჯიბიდან იღებს გაქონილ ქაღალდს, სათვალეებს იკეთებს და კითხულობს:

— რომელ გლეხებსაც ლამპა უნთიათ: ივან პროხოროვს, სავა მიკიფოროვს, პიოტრ პეტროვს, ჯარისკაცის ცოლს შუსტოვას, ქვრივს, — გარყვნილი უკანონობით ცხოვრობს სემიონ კისლოვთან, იგნატ სვერჩოკი მისნობას ეწევა, მისი ცოლი მავრა კი კუდიანია, ღამღამობით მიდის სხვისი ძროხების გამოსაწველად.

— კმარა! — ამბობს მოსამართლე და იწყებს მოწმეების დაკითხვას.

უნტერი პრიშიბეევი შუბლზე იწევს სათვალეებს და გაკვირვებული უცქერის მომრიგებელ მოსამართლეს, რომელიც, როგორც ეტყობა, მის მხარეზე არ არის. პრიშიბეევის გადმოკაკლული თვალები ბრწყინავს, ცხვირი კაშკაშა წითელი ხდება. უცქერის მომრიგებელ მოსამართლეს, მოწმეებს და ვერანაირად ვერ მიმხვდარა, თუ რად არის მომრიგებელი მოსამართლე ასე აღელვებული და რატომ ისმის ოთახის ყოველი კუთხიდან ხან დრტვინვა, ხან თავშეუკავებელი სიცილი. განაჩენისაც ვერა გაუგია რა: ერთი თვით პატიმრობა!

— რისთვის? - ამბობს ის და საგონებელში ჩავარდნილი შლის ხელებს. — რომელი კანონის ძალით?

და მისთვის ცხადია, რომ ქვეყნიერება შეიცვალა, და ამ ქვეყნად ცხოვრება უკვე ყოვლად შეუძ-



ლებელი გახდა. დარდიანი, დამაღონებელი ფიქრები იპყრობს მას, მაგრამ როდესაც ოთახიდან გადის და ხედავს გლეხებს, რომლებიც შეჯგუფულან და რაღაცაზე ბაასობენ, იგი, ჩვეულების მიხედვით, რომლის დაძლევაც უკვე არ შეუძლია, ხელებს შარვლის ნაწიბურებზე იწყობს, სწორდება და ხრინწიანი, გაჯავრებული ხმით ყვირის:

— ხალხხხ...ნო, დაიშალეთ! ნუ გროვდებით! წადით შინ!

თარგმანი **შ. თაბუკაშვილისა.**

გაიოზ ჩანგლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორთქლის გემის გამომგონებელი

ჯერ კიდევ საშუალო საუკუნეებიდანვე დაიწყეს მუშაობა სხვადასხვა გამომგონებლებმა ორთქლის გემის შექმნაზე.

ამ გამომგონებელთა შრომის შედეგები გამოიყენა და ორთქლის გემის დასრულებული სახე მოგვცა რობერტ ფულტონმა.

ფულტონი დაიბადა 1765 წელს, ამერიკაში, ქალაქ პენსილვანიაში. 12 წლის რობერტი შეგირდად მიაბარეს ოქრომჭედელს. ბავშვობაშივე გამოამჟღავნა მან ხატვისადმი ნიჭი და 1786 წელს გაემგზავრა ლონდონს მხატვრობის უფრო ღრმად შესასწავლად. აქ იგი მიებარა იმ ეპოქისათვის ცნობილ მხატვარს ბენჟამინ უესტს. ლონდონში ყოფნის დროს ფულტონი გაეცნო გემის ერთერთ გამომგონებელს რამზეის. ისინი ხშირად საუბრობდნენ ახალ გამოგონებათა შესახებ ამ საუბრებმა ფულტონზე სათანადო გავლენა იქონია, მან საბოლოოდ მიატოვა მხატვრობა და დაიწყო უბრალო მუშად მუშაობა. იგი გაიტაცა გამოგონებებმა. მოკლე ხანში მან გამოიგონა მრავალი ხელსაწყო, მათ შორის: მარმარილოს მჭრელი გამასუფთავებელი მანქანა, ძაფსახვევი, რკინის ხიდების ასაწევი ხელსაწყო, მდინარის გასაღრმავებელი იარაღები და სხვა.

1802 წელს მან ააგო გემი. მაგრამ მისი აგებული მანქანა მძიმე გამოდგა, როდესაც გემი წყალში ჩაუშვეს, იგი მაშინვე ჩაიძირა.

ამ შემთხვევამ არ დააღონა ფულტონი, ამოათრია მანქანა წყლიდან და ახალი, უფრო კეთილმოწყობილი გემი გააკეთა.

ამის შემდეგ ფულტონმა თავისი ნახატების მიხედვით შეუკვეთა მანქანების ნაწილები ბულტონის და უოტსის ქარხნებს.

1806 წელს ფულტონი მანქანის ნაწილებით გაემგზავრა სამშობლოში.

ამერიკაში დაბრუნებისთანავე ფულტონი შეუდგა გემის აგებას. გემის აგება მიანდვეს ამერიკაში იმ დროს ცნობილ ოსტატს კარლო ბროუნს. გემს უამრავი თანხა დასჭირდა. ამ მხრივ ფულტონს ეხმარებოდა მისი მეგობარი ლივინგსტონი. მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მათ თანხა შემოაკლდათ. მაშინ ლივინგსტონმა დააგირავა კლერმონტი—თავისი მამული ნიუ-იორკის ახლოს.

როდესაც 1807 წლის აგვისტოში გემი უკვე მზად იყო, ფულტონის წინადადებით მას ეწოდა „კლერმონტი"—გემის მშენებლობაში უკანასკნელი დახმარების პატივსაცემად.

1807 წლის 11 აგვისტოს ნიუ-იორკის მოსახლეობის თითქმის ნახევარძა მოიყარა თავი მდ. გუდზონის ნაპირას. მაყურებელთა შორის იყო ბევრი ისეთი, რომელთაც ენახათ წინანდელ გამომგონებელთა უშედეგო ცდები და ამიტომ ბევრი მათგანი სასაცილოდაც კი იგდებდა ფულტონს.

აი, ამოძრავდა გემი, სულ სწრაფად და სწრაფად დაიწყო მან მდინარის მოპირდაპირე მიმართულებით სვლა. ბევრი კიდეც გაეკიდა მას გასასწრებად მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ ვერ დაეწეოდნენ.

ფულტონმა და ლივინგსტონმა ჩქარა მოიხვეჭეს სახელი. ამერიკის გაზეთები ახმაურდა. 1807 წლის 2 სექტემბერს გაზ „ალბენი გაზეტეში" მოთავსებულია მსოფლიოში პირველი განრიგება გემით მიმოსვლისა.

მიუხედავად ამ რეკლამისა, ნიუ-იორკში არ აღმოჩნდა არცერთი მსურველი ამ გემით მგზავრობისა. დანიშნულ დროზე ფულტონი მაინც გაემგზავრა ალბენს. ის იყო დიდი გამომგონებელი უმგზავროდ აპირებდა დაბრუნებას ალბენიდან ნიუ-იორკში, რომ გემზე ავიდა ვიღაც კაცი, რომელმაც განაცხადა სურვილი ამ „ცეცხლის მანქანით" გამგზავრებულიყო ნიუ-იორკს.

ეს იყო პირველი მგზავრი, ნიუ-იორკში მცხოვრები ფრანგი ანდრიე. როდესაც ანდრიე ავიდა გემ-



ზე, მას და ფულტონს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

— თქვენი გემი ნიუ-იორკში მიდის?—ჰკითხა ანდრიემ.

— დიახ,—უპასუხა ფულტონმა,—ვეცდები წავიდე.

— შეიძლება მეც თან წამიყვანოთ?

— რა თქმა უნდა, თუ კი გაბედავთ ჩემთან წამოსვლას. საუბედუროდ, ადგილი მე მეტი მაქვს, ვიდრე ერთი კაცისათვის არის საჭირო. ნაღვლიანად გაიღიმა ფულტონმა. ანდრიემ გადაიხადა სათანადო თანხა.

ფულტონი დაფიქრებული დასცქეროდა ფულს. ანდრიემ გაიფიქრა, რომ მან საჭიროზე ნაკლები თანხა გადაიხადა და უთხრა ფულტონს:

— ვგონებ, თქვენ თვითონ მითხარით ეს თანხა.

ფულტონი შემობრუნდა. მას თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე.

— მაპატიეთ,—უპასუხა ფულტონმა,—არა, არა, თქვენ გადაიხადეთ ის, რაც მერგება. მე იმაზე დავფიქრდი, რომ ეს ფული პირველია, რომელიც რამდენიმე წლის დაუღალავი მუშაობის შედეგად ავიღე.

1815 წლის 24 თებერვალს, ორი თვის ავადმყოფობის შემდეგ, ფულტონი გარდაიცვალა.

შვიდი ჩემპიონი

1858 წელს ახალგაზრდა ამერიკელმა **პაულ მორფიმ** საჭადრაკო მატჩში დაამარცხა იმ დროის უძლიერესი მოჭადრაკე **ადოლფ ანდერსენი**. ამ გამარჯვებამ მორფის არგუნა მსოფლიოს პირველი მოჭადრაკე ჩემპიონის სახელწოდება. მაგრამ მორფი მალე გაემგზავრა ევროპიდან ამერიკაში და ჭადრაკს თავი მიანება.

მეორეჯერ მსოფლიო პირველობის საკითხი წყდებოდა 1866 წელს, როცა ანდერსენი შეხვდა **ვ. სტეინიცს**. ანდერსენი ხელმეორედ დამარცხდა.

სტეინიცმა ჩემპიონის სახელწოდება შეინარჩუნა 28 წლის განმავლობაში და ამ დროის მანძილზე დაამარცხა 4 თავისი კონკურენტი: **ბლეკბერნი, ცუკერტორტი, გუნსბერგი** და **ჩიგორინი**.

სტეინიცის დამარცხება მხოლოდ **ემანუილ ლასკერმა** შეძლო. მათი ბრძოლის შედეგი იმ დროს მთელი საჭადრაკო მსოფლიოსათვის მეტად მოულოდნელი იყო. ახალგაზრდა ლასკერმა თავის სახელგანთქმულ მოწინააღმდეგეს მოუგო. გადაწყვიტეს, ეს შემთხვევითი შედეგიაო, და 1886 წელს მოსკოვში სტეინიცსა და ლასკერს შორის შედგა მეორე მატჩი მსოფლიოს პირველობაზე. ახალ ბრძოლაში ლასკერმა კვლავ დაამტკიცა თავისი ძალა და მოიგო მატჩი.

როგორც მისმა წინამორბედმა, ლასკერმაც დიდხანს შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის საპატიო სახელწოდება — 26 წლის განმავლობაში მისი დამარცხების ყველა ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა, და მხოლოდ 1921 წელს ახალგაზრდა კუბელი **ხ. რ კაპაბლანკა** ამარცხებს ლასკერს.

კაპაბლანკას ბრწყინვალე ტექნიკა უძლეველობის შარავანდედს უქმნის მას. მაგრამ იგი მაინც ნაკლებად ბედნიერი აღმოჩნდა, ვიდრე ორი წინანდელი ჩემპიონი: პირველსავე სამატჩო შეხვედრაში (1928 წ.) იგი კარგავს მსოფლიო პირველობას, უთმობს რა მას **ა. ა. ალიოხინს.**

ეს იყო გოლიათების ბრძოლა. მატჩის წინ ყველა დარწმუნებული იყო კაპაბლანკას გამარჯვებაში, მაგრამ პირველსავე პარტიაში ალიოხინმა სასტიკად დაამარცხა კაპაბლანკა.

ალიოხინს 1928 წლიდან უკვე ორჯერ მოუხდა თავისი სახელწოდების დაცვა და ორივეჯერ **ე. ბოგოლუბოვის** წინააღმდეგ; ორივე მატჩში დაამტკიცა ალიოხინმა თავისი უპირატესობა მოწინააღმდეგეებთან შედარებით.

ალიოხინისა და **ეივეს** (ჰოლანდიის ჩემპიონი) მატჩი უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა ჭადრაკის დარგში. ეივე გამოვიდა 1934 წელს დიდ საერთაშორისო ტურნირზე ციურიხში (ფლორთან ერთად), მეორე ადგილი დაიკავა (პირველი ალიოხინმა) და უკან მოიტოვა ბოგოლუბოვი და სხვა გამოჩენილი ოსტატები. პირად შეხვედრაში ალიოხინთან იმ ტურნირზე გამარჯვებული გამოვიდა ეივე.

1935 წ. ეივემ მოუგო ალიოხინს და ჩამოართვა მსოფლიო ჩემპიონის სახელწოდება.

ამ დამარცხებამ ალიოხინზე საგრძნობლად იმოქმედა და იგი მთელი ენერგიით შეუდგა სარევანშო მატჩისათვის მზადებას.

მართლაც, 1937 წლის ბოლოს შემდგარ მატჩში ალიოხინმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ეივესთან და დაიბრუნა მსოფლიო ჩემპიონის დაკარგული სახელი. ჭადრაკის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, რომ დაკარგული ჩემპიონობა ვისმეს დაებრუნებინოს.

ლამა

ორდილერიის მთებში, ამერიკაში, გვხვდება ერთი ფრიად ლამაზი, კოხტა აღნაგობის ცხოველი, რომელსაც ლამას უწოდებენ. მაღალი ყელი, მოგრძო თავი, მოკლე კუდი და მოხდენილი წვრილი ფეხები დამახასიათებელია ამ ცხოველისათვის. ცხოვრობს ის მთებში, კლდიან ადგილებში, დაეძებს ქორფა ცვრიან ბალახს, ხავსსა და სხვა მცენარეულთ. ლამა სუსტად არის შეიარაღებული მრავალრიცხოვანი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად. გაჭირვების ჟამს ის გაქცევით შველის თავს, მაგრამ ხშირად ეწევიან მდევარნი და ულმობელად გლეჯენ. ლამა კარგად გრძნობს თავის უმწეო მდგომარეობას სასტიკი მტრების წინაშე, ამიტომ იგი მეტად მხდალი და ფეთიანია. საბრალო ცხოველს საკუთარი ლანდიც კი აკრთობს, უმნიშვნელო ხმაური გულს უხეთქავს და უმალ თავშესაფარს აძებნინებს.

ის ხშირად აცოცდება მთის წვერზე და იქიდან ფრთხილად და დაკვირვებით ათვალიერებს არემარეს. როცა კარგად რწმუნდება, რომ არაფერია საშიში, წყნარად ეშვება ბალახის საძოვრად. მას საშინლად უყვარს ცივი, მორაკრაკე წყაროს, გიჟმაჟი ჩანჩქერის წყლის სრუტვა. მარილიან წყაროს ის არ სცილდება, მეტადრე სიცხიან—გოლვიან დღეებში, როცა ბალახი მზისაგან ყველგან გადატრუსულია. საცოდავი ლამა მდინარისა და ჩანჩქერის მიდამოებს ბეჯითად გარს უვლის და იქიდან

ილებს საჭირო საკვებს. ადამიანები და [illegible] მხეცები ლამის ამ ჩვეულებას კარგად იცნობენ, ამიტომ მარჯვედ უსაფრდებიან მას და თავს ესხმიან. შიმშილი და წყურვილი საბრალო ლამას აიძულებს გადადგას მისთვის სრულიად გაუფრთხილებელი ნაბიჯი.

ლამები ჩვეულებრივ ჯგუფ-ჯგუფად დადიან, მათ საშიშარ გზებზე წინ მიუძღვით ყველაზე გამოცდილი მეთაური-ლამა. წინამძღოლი საეჭვო მოძრაობის შენიშვნის შემთხვევაში ხმამაღლა დაუსტვენს. საგანგაშო ნიშანზე ყველანი სასწრაფოდ გარბი-გამორბიან. მეთაური მათ უკან მიჰყვება და გზაში დაკვირვებით ზვერავს მტრის მოძრაობის მიმართულებას. ლამის გემრიელი ხორცი, ტყავი და მატყლი განსაკუთრებით იზიდავს მონადირეებს. თუ ამას მივუმატებთ იმას, რომ ლამას მეურნეობაში იყენებენ, როგორც გამწევ და ტვირთმზიდავ ძალას, უკვე საკმაოდ ნათელი გახდება, თუ რად სდევნიან მას ასე გაშმაგებით მონადირენი. ლამას ამერიკის აქლემს უწოდებენ. მართლაც და მშვენიერი სანახავია ტვირთაკიდული ლამების გრძელი ქარავანი, მთიანლრანტოვან საცალფეხო ბილიკებზე მოწკარუნე ეჟვნებით დინჯად და ფრთხილად რომ მიიკვლევს ძნელად სავალ გზებს.

ლამა ადვილად შინაურდება და ადამიანს საკმაოდ უმეგობრდება. ამას გარდა ზოგიერთი ჯიშის ლამა იშვიათი მაღალი ხარისხის მატყლს იძლევა. იმისათვის, რომ ლამა ამ მიზნებისათვის გამოყენებულ იქნას, საჭიროა მისი მოკვლა, ან ცოცხლად დაჭერა მოშინაურების მიზნით. სწორედ ამ გარემოების გამო კორდილერიის მთებში, განცალკევებით თუ ჯგუფ-ჯგუფად, მრავალ მონადირეს შეხვდებით. თუ შემჩნეულ იქნა ლამების მრავალრიცხოვანი ჯოგი, მონადირენი მათ ადგილსამყოფელს ოსტატურად მესრის ალყას არტყამენ, მესერზე თოკს აბამენ და ზედ წითელ და ჭრელ ნაჭრებს კიდებენ. მხდალ ცხოველებს არ ყოფნით გამბედაობა გადალახონ შემოვლებული მესერი, ისინი იმ მიმართულებით იძვრიან, საცა განზრახ წრე გახსნილია და თითქოს სრულიად საიმედო გასავალია. სწორედ იმ ადგილას, საცა ლამები გასვლას იწყებენ, სხედან კარგად ჩასაფრებული მონადირენი. როგორც კი დევნილები დანიშნულ ადგილს უსწორდებიან, უეცრად იგრიალებს თოფები, და დაჭრილ-დახოცილი ლამებიც ძირს ცვივიან. მოკლულ ცხოველებს ხორცად და მატყლად იყენებენ, მცირედ დაჭრილთ სახლში ერეკებიან.

ბევრგან ლამების ჯოგებს ხელოვნურად აშენებენ. ამით განსაკუთრებით დიდად არიან დაინტერესებულნი საფეიქრო მრეწველობის საწარმოების პატრონები.

ვლ. კახიანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრიადოსანი პიონერები



მარცხნიდან მარჯვნივ: 1. აბეკელია ციალა, 1 სკოლის მე-IV კლასის მოწაფე, 2. ქავჟარაძე კლარა, მე-7 სკოლის მე-VII კლასის მოწაფე, 3. თაბუკაშვილი რაფიელ, 1 სკოლის მე-V კლასის მოწაფე, 4. გიორგაძე, მე-14 სკოლის მე-VII კლასის მოწაფე, 5. მანჯგალაძე ენრიკო, მე-7 სკოლის მე-V კლასის მოწაფე, 6. ქომოშვილი გიორგი, მე-7 სკოლის VI კლასის მოწაფე, 7. ჭირაქიძე მერი (ზევით), მე-8 სკოლის მე-VII კლასის მოწაფე.

პასუხები ქურ. „პიონერის" № 2-ში მოთავსებულ გასართობებზე

როგორ გავერთოთ ასანთის ღერებით



ნახ. 1.

1. ჩვიდმეტი ასანთის ღერისაგან დალაგებულ 6 კვადრატს მოვაშორეთ ხუთი ასანთის ღერი და დარჩა სამი კვადრატი. (ნახ. 1.)



ნახ. 3.

2. თორმეტი ასანთის ღერისაგან დალაგებულ კვადრატიდან ოთხი ასანთის ღერის გადასმით მივიღეთ იმავე ზომის სამი კვადრატი. (ნახ. 2.).



ნახ. 2.

3. ჩვიდმეტი ასანთის ღერისაგან დალაგებულ ექვს კვადრატს ჩამოვაშორეთ ექვსი ასანთის ღერი და მივიღეთ ორი სხვადასხვა სიდიდის კვადრატი.

ფასი 50 კაპ.

.38-123.
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაბირინთი.



ამ ლაბირინტის ცენტრში მოექცა თხა და არ იცის როგორ იპოვოს გამოსავალი გზა. ერთი შეხედვით გზის მონახვა თითქოს არ არის ძნელი, ნამდვილად კი ეს არც ისე ადვილია. ეცადოთ გამოსავალი გზის მონახვა.

ჟურნალი რომ არ გააფუჭოთ აიღეთ თხელი, გაშსქვირვალე ქაღალდი და ფანქრით გადაიღეთ ეს ლაბირინტი, შემდეგ კი სცადეთ გამოიყვანოთ თხა ლაბირინტიდან.